საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 9

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

01 აგვისტო 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. ნატალია ასათიანი, 6.იზა მაგრაქველიძე; 7. დავით ცხადაძე; 8. რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი; ჯემალი ისაკაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. საკრებულოს გამოკლებული წევრის ამირან ვერულაშვილის ადგილმონაცვლის ეკა ბერძენიშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი N 01/1332(05.07.2023), რომელიც თანხმობას გვიცხადებს სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭებაზე. კომისიის

აზრი გამოთქვეს:
აზრი არავის გამოუთქვამს;

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;**

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს განკარგულების პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების შესახებ;

მუხლი 2. განკარგულების პროექტი წარედგინოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად დაეწერა N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის 2023 წლის 31 ივლისის N 49/34 წერილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ამირან ვერულაშვილის ადგილმონაცვლის ეკა ბერძენიშვილის წარმოდგენის შესახებ.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის 2023 წლის 31 ივლისის N 49/34 წერილი, სადაც დადგენილია რომ, საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ამირან ვერულაშვილის ადგილმონაცვლედ, ეკა ბერძენიშვილი, დაბადებული 24.04.1985 წელი, მისამართი თერჯოლა, ს.ახალთერჯოლა, პარტიულობა მპგ ,, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო".

აზრი გამოთქვეს: დათო ცხადაძემ, კობა კაცაძემ;იზა მაგრაქველიძემ;

კომისიის წევრებმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ერთხმად განაცხადეს, რომ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე უნდა მოხდეს ეკა ბერძენიშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი 0;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. ცნობილ უნდა იქნას საკრებულოს გამოკლებული წევრის ამირან ვერუაშვილის ადგილმონაცვლის ეკა ბერძენიშვილისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

მუხლი 2. კომისიის დასკვნა და საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: